ქართული სცენის ლაურენსია

ერთხელ, გვიან ღამით, რუსთაველის დაცარიელებულ პროსპექტზე, მაშინდელი ოფიცერთა სახლის წინ მოსეირნე ახალგაზრდამ უცნაური რამ შენიშნა – ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ვიღაც შაოსანი ქალბატონი რუსთაველის თეატრის კედლებს ეფერებოდა და კოცნიდა, თან თავისთვის რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა. ახალგაზრდამ გზა გადაჭრა, შორიახლოს დადგა და ქალს დააკვირდა. უცნობმა ქალბატონმა თავსაფარი ოდნავ შეისწორა და წამით სახე გამოუჩნდა. ახალგაზრდა კაცმა თვალებს არ დაუჯერა – ეს ქალბატონი თამარ ჭავჭავაძე იყო!

თამარ ჭავჭავაძე

თეატრისადმი ფანატიკური სიყვარული კი ყვარელში, ჭავჭავაძიანთ მამულის დიდ მარანში დადგმული საბავშვო წარმოდგენებით დაიწყო, სადაც პატარა თამარი თავის დებთან და გლეხის გოგო-ბიჭებთან ერთად „თეატრობანას“ თამაშობდა. მხოლოდ წლების შემდეგ გაიგო, რომ სწორედ ამ მარანში დგამდა ახალგაზრდა კოტე მარჯანიშვილი თავის პირველ სპექტაკლებს, მაშინ, როდესაც თამარი დაბადებულიც კი არ იყო.

თამარს სტუმრების გართობა ევალებოდა და დაკისრებულ მოვალეობას დიდი სიამოვნებით ასრულებდა კიდეც – უკითხავდა ლექსებს, ყვებოდა ზღაპრებს, ცეკვავდა დაუღალავად და გატაცებით...

საეკლესიო დღესასწაულები უყვარდათ – შუამთობა, ალავერდობა, თეთრი გიორგობა... მშობლებს გოგონები ყოველთვის თან მიჰყავდათ ხოლმე. ეზოში ფუსფუსი და მზადება ადრიანი დილიდან იწყებოდა – გლეხები ურმებს აწყობდნენ, სანოვაგეს იმარაგებდნენ, საკლავს ამზადებდნენ... როცა ყველაფერი მომზადდებოდა, ყმებიცა და ბატონებიც გზას დაადგებოდნენ. გოგონები ხალიჩებით, ბალიშებითა და მუთაქებით გაწყობილ ურემზე წამოსკუპდებოდნენ და გზას გაჰყურებდნენ... დღე შეუმჩნევლად გადიოდა, მთვარიან ღამეში კი კახეთის გზა ისეთი უცნაური და იდუმალია, პატარა თამარი ნატრობდა, ნეტავ არასოდეს დამთავრდებოდეს ეს მგზავრობაო. ურმის თვლების რიტმულ ჭრიალსა და მეურმის გაბმულ სიმღერაში თამარს თვალები ეხუჭებოდა.

აი, სულ უფრო ახლოს მოჩანდა ალავერდის სილუეტი და მგზავრობაც სრულდებოდა. ურმები ჭრიალით შევიდოდნენ ხალხით გაძეძგილ ეზოში. რაღას არ ნახავდი აქ: ღვინით სავსე ხელადებს, ნაქარგ ხევსურულ კაბებს, ჯიხვის ყანწებს. გრილი ოთახები. სახლი მთავრდებოდა მაღალი, მრგვალი კოშკით, რომელსაც ბურჯს ეძახდნენ. ამ ბურჯში თამარის ოჯახი ცხოვრობდა, ქვედა სართულზე კი – ბებია-პაპა. სახლის უკან გაშენებული ულამაზესი ხეხილის ბაღი და ვაზის ხეივნები საშიში ხრამით სრულდებოდა და ამის გამო ბავშვებს იქ თამაშს უშლიდნენ, თუმცა, რასაკვირველია, გოგონები ჩუმად მიიპარებოდნენ აკრძალული ადგილისკენ. ჭავჭავაძეების დიდ ეზოს ხავერდოვანი მწვანე მოლი და

თავად ირაკლი ჭავჭავაძის ორსართულიან სახლს გარშემო გასდევდა დიდი აივანი, რომელზეც დები – ირა, მერი და თამარი მთელ დღეს ატარებდნენ. თამარის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა დიდი ფანჯრები, ვრცელი და ასწლიანი კაკლის ხე ამშვენებდა. საღამოობით, უკვე დასაძინებლად გამზადებული პატარა თავადის ქალები გატრუნულები უსმენდნენ დიდი კაკლის ფოთლების შრიალს და ჩურჩულს...

თამარსა და მის დებს ყველაზე უფრო ვილები წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს. ბავშვობის ტკბილი და უდარდელი წლები თამარისთვის აქ დასრულდა – ბიუროკრატიული რეჟიმი, უინტერესო გაკვეთილები, მკაცრი და უხასიათო კლასის დამრიგებელი და სანატრელი არდადეგების მოლოდინი – ასეთი იყო მისთვის სწავლის წლები. თბილისში ამ დროს შემოქმედებითი ცხოვრება დუღდა, უამრავი საინტერესო სპექტაკლი იდგმებოდა, რომელთა ნახვა გოგონას ოცნებად გადაქცეოდა, რადგან სასწავლებლიდან თეატრში მხოლოდ ოფიციალური დღესასწაულის დღეებში დაჰყავდათ და ისიც მოსაწყენ, „ურა-პატრიოტულ“ წარმოდგენებზე. იქ ვერც

სულ უფრო ახლოს მოჩანდა ალავერდის სილუეტი. ხალიჩებით, ბალიშებითა და მუთაქებით გაწყობილ ურემზე წამოსკუპებული გოგონები გზას გაჰყურებდნენ... დღე შეუმჩნევლად გადიოდა და მგზავრობაც სრულდებოდა.

ახლო მეგობარი გაიჩინა, დებსაც ხშირად ვერ ხედავდა – ისინი უფროს კლასებში სწავლობდნენ. ერთადერთი ნათელი წერტილი სასწავლებელში რუსული ლიტერატურის გაკვეთილები იყო – ეცნობოდა უამრავ ნაწარმოებს რუსული კლასიკიდან, თუკი თავისუფალ დროს გამონახავდა, იმწამსვე წიგნს ამოიღებდა და კითხვას იწყებდა, ხშირად სხვა გაკვეთილებზეც, მერხის ქვემოთ, მუხლებზე პუშკინის რომელიმე ტომი ედო და, მასწავლებლისგან მალულად, საყვარელ ლექსებს კითხულობდა. რამდენჯერმე მორიგეებისგანაც შენიშვნა მიიღო – ეს რა წიგნები მიწაზე გაშლილ ხალიჩებზე გემრიელი საჭმელი დაეხვავებინათ... სხვადასხვა მხრიდან მოისმოდა ზურნა-დუდუკის ხმები, ზოგან კახურ „მრავალჟამიერს“ აგუგუნებდნენ... დოღში სახელგანთქმული თუშები ცხენებს დააჭენებდნენ... მაგრამ თამარი მაინც იქით გარბოდა, საითაც ცეკვა-თამაში ეგულებოდა, ჯერ შორიდან უცქერდა, შემდეგ კი მოთმინება აღარ ჰყოფნიდა და თვითონაც ებმებოდა ფერხულში...

ირაკლი ჭავჭავაძისა და ელენე მაყაშვილის სტუმართმოყვარე ოჯახს ილიაც ხშირად ეწვეოდა ხოლმე. თამარის მამამ კარგად იცოდა, ილიას ხალხური სიმღერა რომ მეტისმეტად უყვარდა და, მის საამებლად, საგანგებოდ იწვევდა საუკეთესო მომღერლებს კახეთის სხვადასხვა სოფლიდან. მათი მოსმენა კი მართლაც ერთ რამედ ღირდა. შეკრებისთანავე, თამარსაც მოუხმობდნენ ხოლმე, მას სტუმრების გართობა ევალებოდა და დაკისრებულ მოვალეობას დიდი სიამოვნებით ასრულებდა კიდეც – უკითხავდა ლექსებს, ყვებოდა ზღაპრებს, ცეკვავდა დაუღალავად და გატაცებით...

ერთ დღეს კი, მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათ გოგონებს შესაფერისი განათლება უნდა მიეღოთ და საცხოვრებლად დედაქალაქში გადმოვიდნენ, არსენას ქუჩაზე დასახლდნენ და ქალიშ-

ამოგიდია ბალიშის ქვეშო – საყვედურობდნენ.

მოსაწყენ და ერთფეროვან დღეებს ნანატრი საახალწლო ან სააღდგომო არდადეგები მოსდევდა – იმ დღეებში მოსწავლეები საკუთარ სახლებს უბრუნდებოდნენ და თავისუფლებით ტკბებოდნენ. არდადეგები თამარისთვის ორმაგად სასიხარულო იყო, რადგანაც საშუალება ჰქონდა ყოველდღე თეატრში ევლო – აღფრთოვანებით შესცქეროდა ალექსანდრე იმედაშვილსა და ნუცა ჩხეიძეს, ლადო მესხიშვილსა და ნატო გაბუნიას, ვასო აბაშიძეს და მაკო საფაროვას... ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისში ჩამოდიოდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული თეოდორ შალიაპინი, აისიდორა დუნკანი, სერგეი ესენინი, მარიუს პეტიპა, ვერა კომისარჟევსკაია... პატარა თამარზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება კოტე მარჯანიშვილის დადგმულმა „ოიდიპოს მეფემ“ მოახდინა, განსაკუთრებით კი იოკასტას შემსრულებელი მოსწონებია. მაშინ ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, თუ ათწლეულების შემდეგ თავადაც ითამაშებდა ამ როლს...

წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლის მტანჯველი პერიოდი 1914 წელს დასრულდა, თამარმა სწავლა ჯერ თბილისში

ალავერდი

ჩემი მომავალი თეატრს უნდა დავუკავშირო და მიზნის მისაღწევად წინ ვერაფერი დამიდგებაო – განუცხადა დედ-მამას

განაგრძო – კერძო ისტორიულ-ფილოლოგიურ კურსებზე, ერთი წლის შემდეგ კი, ხარკოვში გაემგზავრა და ქალთა უმაღლესი კურსების ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარა. არ იყო მსახიობთა სწავლების რაიმე კონკრეტული სისტემა, მხოლოდ ცალკეულ ნაწყვეტებზე მუშაობდნენ, ან პატარა პიესებზე. თამარი გრძნობდა რაღაც შინაგან დაუკმაყოფილებლობას, მაგრამ იმ დროს სხვა თეატრალური სასწავლებელი ხარკოვში უბრალოდ არ არსებობდა, ამიტომ სცენას მოწყურებული ახალგაზრდა იძულებული იყო ამ მცირედით მაინც დაეკმაყოფილებინა შემოქმედების წყურვილი.

შინიდან სულ უფრო ხშირად იღებდა შეშფოთებული მშობლების წერილებს, გამოერიდე მაგ არეულობას და თბილისში დაბრუნდიო – სთხოვდნენ. ხარკოვში ცხოვრება საშიში ხდებოდა, ამიტომაც თამარი დაჰყვა მშობლების ნებას და საქართველოში ჩამოვიდა.

მალე უკრაინაში მშფოთვარე დრო დადგა – ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვია, გაუთავებლად იმართებოდა კრებები, გამოდიოდნენ სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები, ერთი მთავრობა მეორეს ცვლიდა, მთელს უკრაინაში მახნოს და პეტლიურას რაზმები დათარეშობდნენ, ხარკოვი ხან წითლების ხელში იყო, ხან კი – თეთრების. რევოლუციურ მოძრაობაში ახალგაზრდა სტუდიელებიც ჩაებნენ, აწყობდნენ კონსპირაციულ შეკრებებს, რამდენჯერმე თამარიც წაიყვანეს ასეთ საიდუმლო შეკრებაზე სოფელ ჟურავლიოვკაში და კონსპირაციული სახელიც კი შეარქვეს – „მერცხალი“. მალე სამსახიობო სტუდია ახალგაზრდობის პირველ მოძრავ პროლეტარულ თეატრად გადააკეთეს, რომელიც წითელი არმიის ნაწილებს ემსახურებოდა, როგორც ქალაქში, ისე ფრონტის ხაზზეც.

ერთხელ დასი ხარკოვის მახლობლად განლაგებულ წითელი არმიის ნაწილში გაგზავნეს. არტისტებმა გადაწყვიტეს ჯარისკაცების გასამხიარულებლად სასაცილო სცენები წარმოედგინათ. დეკორაციები გაშალეს, კოსტიუმები მოირგეს და სპექტაკლი დაიწყო. აღფრთოვანებული ჯარისკაცების სიცილ-ხარხარში უცბად რაღაცამ დაიგრუხუნა და გაიელვა, მსახიობები ადგილზე გაშეშდნენ, სამხედროები წამოიშალნენ და თავიანთი პოზიციებისკენ გაიქცნენ. სტუდიელებმაც დასტაცეს ხელი თავიანთ ბარგი-ბარხანას, საჩქაროდ მოკრიბეს კოსტიუმები, რეკვიზიტი და იქაურობას გაეცალნენ. რამდენიმე წუთში, იმპროვიზებული თეატრის ადგილას ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა...

შინიდან სულ უფრო ხშირად იღებდა შეშფოთებული მშობლების წერილებს, გამოერიდე მაგ არეულობას და თბილისში დაბრუნდიო – სთხოვდნენ. ხარკოვში ცხოვრება მართლაც მეტად საშიში ხდებოდა, ამიტომაც თამარი დაჰყვა მშობლების ნებას და საქართველოში ჩამოვიდა.

– ჩემი მომავალი თეატრს უნდა დავუკავშირო და ამ მიზნის მისაღწევად წინ ვერაფერი დამიდგებაო – შინ დაბრუნებულმა, უკვე პირდაპირ განუცხადა დედ-მამას თავისი მტკიცე გადაწყვეტილება. რაღას იზამდნენ მშობლები, ისღა დარჩენოდათ, შვილისთვის შემოქმედებითი გზა დაელოცათ. 1920 წელს, სათანადო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, თამარ ჭავჭავაძე რუსთაველის სახელობის თეატრში მიიღეს, პარალელურად კი ნ. ხოდოტოვისა და ე. ლეონტოვიჩის სტუდიაში ჩაეწერა, მაგრამ იმედი აქაც გაუცრუვდა – პირველსავე გაკვეთილზე მიხვდა, რომ ვერც ამ სტუდიაში მიიღებდა შესაფერის ცოდნას. ამის გამო, ახალბედა მსახიობი მეტისმეტად ღელავდა, რადგან თეატრში უკვე პატარა, მაგრამ საპასუხისმგებლო როლებს ანდობდნენ, მას კი არც ცოდნა ჰქონდა და არც გამოცდილება. ჯერჯერობით, როგორღაც უმკლავდებოდა ამ პატარა როლებს, მაგრამ ოდესმე ხომ დადგება ისეთი დროც, როდესაც მთავარ როლებზე გაანაწილებენ, როგორ უნდა შექმნას ჭეშმარიტი მხატვრული სახე, როგორ მიაღწიოს სასურველ შედეგს, თუკი გზის გამკვალავი, მიმართულების მიმცემი და მასწავლებელი არ ეყოლება?!

ამ ფიქრებში გართულმა თამარმა მექანიკურად გადაშალა გაზეთი და წაიკითხა პირველივე წინადადება, რაც თვალში მოხვდა, ამა წლის 31 აგვისტოს დანიშნულია მისაღები გამოცდა თბილისის თეატრალურ სტუდიაში. როდესაც გამომცდელთა შორის კოტე მარჯანიშვილის გვარი ამოიკითხა, სუნთქვა შეეკრა, შიგნიდან თითქოს რაღაც იდუმალი ძალა კარნახობდა – შენ ცხოვრებაში ახლა გადამწყვეტი მომენტი დგება, ხელიდან არ გაუშვა ეს შესაძლებლობაო. თამარმა იგრძნო, რომ აუცილებლად უნდა გასულიყო გამოცდაზე, მარჯანიშვილს უსათუოდ უნდა მოესმინა მისთვის! სასწრაფოდ ბარგის ჩალაგება დაიწყო – მაშინ ზაფხულის შვებულებას ოჯახთან ერთად, კახეთის სოფელ რუისპირში ატარებდა – და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს მთელი ოჯახი ისედაც აპირებდა თბილისში დაბრუნებას, გულმა ვეღარ მოუთმინა და საღამოსვე დედაქალაქისკენ გამოემგზავრა.

ხანდახან შიში იპყრობდა – ვაითუ მაესტროს აღარ ახსოვს, რომ თამარსაც დაავალა ეს როლი და თამაში აღარასდროს მოუწევს?!

მეორე დღეს, დილის 11 საათზე, თამარ ჭავჭავაძე რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში შევიდა. გრძელ მაგიდასთან



კოტე მარჯანიშვილი

ლაურენსია, „ცხვრის წყარო“

ქალარათმიანი, მომხიბლავი კაცი შენიშნა. ცოტათი შეშინდა კიდეც, მაგრამ მაინც თამამად გავიდა სცენაზე, თან ცდილობდა არ ეფიქრა იმაზე, რომ მის გარდა, გამოსაცდელთა სიაში კიდევ ასამდე მსახიობის გვარი ეწერა. თამარმა თავდაპირველად რუქაიას მონოლოგი წაიკითხა სუმბათაშვილის პიესიდან – „ღალატი“.

შეშლილი მაყურებელი ტაშს უკრავს კაცისმკვლელ ქალიშვილს, რადგან იმ წუთში ყველა დარწმუნებულია, რომ ეს მკვლელობა სამართლიანია!

– შეგიძლიათ კიდევ წაგვიკითხოთ? ოღონდ რამე უფრო დრამატული – მიმართა რეჟისორმა.

თამარმა უზომო მღელვარება როგორღაც მოთოკა და რეჟისორს დ. მერეჟკოვსკის „საკია მუნი“ წაუკითხა. როგორც ჩანს, მარჯანიშვილს ახალბედა არტისტი მოეწონა, თავისთან მიიხმო, შეაქო და უთხრა:

– მოამზადეთ ლაურენსიას როლი ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროდან“!

დარბაზიდან თამარი ფრთაშესხმული გამოვიდა – არ შევმცდარვარ, ასე რომ მოვიჩქაროდი ამ გამოცდაზეო – ფიქრობდა. ნუთუ მარჯანიშვილი მართლა ანდობს მთავარ როლს ასეთ მნიშვნელოვან დადგმაში?! ამაზე ხომ ვერც კი იოცნებებდა! რა თქმა უნდა, უკრაინაში ცხოვრების დროს, არაერთხელ ენახა ეს ლეგენდარული სპექტაკლი, კიევის სოლოვცოვის თეატრში რომ დადგა მაესტრომ, რომელიც ისეთ ემოციას და ბრძოლის ჟინს იწვევდა მაყურებელში, რომ წითელარმიელი ჯარისკაცები საგანგებოდ მიჰყავდათ წარმოდგენაზე და შემდეგ პირდაპირ თეატრიდან უშვებდნენ ფრონტის ხაზზე! ოცნებებში რამდენჯერ წარმოუდგენია საკუთარი თავი ლაურენსიას როლში, მაგრამ, ვერასდროს იფიქრებდა ამ ოცნებას ახდენა რომ ეწერა.

რეპეტიციები უკვე რა ხანია დაიწყო, მაგრამ თამარი ჯერჯერობით მხოლოდ წყნარად ზის და სხვებს უსმენს – ლაურენსიას როლზე ის ჯერ მხოლოდ დუბლიორადაა დანიშნული, რეპეტიციებს კი მისი უფროსი კოლეგა გადის. თუმცა თეატრში ჩუმად იმაზეც ჭორაობენ, მარჯანიშვილს საშინლად არ მოსწონს ეს ღვაწლმოსილი მსახიობი და, მისი ნება რომ იყოს, სიამოვნებით შეცვლიდა სხვა, უფრო ახალგაზრდა შემსრულებლითო, მაგრამ, სამწუხაროდ, მარჯანიშვილი ჯერ ბევრ რამეს ვერ წყვეტს რუსთაველის თეატრში, ის ხომ მხოლოდ ერთ დადგმაზე მოიწვიეს, ხელმძღვანელებმა მსახიობებს თავიდანვე პირდაპირ გამოუცხადეს – დადგმას თუ ჩააფლავებთ, სახელოვანი რეჟისორი უკან, რუსეთში დაბრუნდება, მაგრამ თუ ყველაფერი წარმატებით ჩაივლის, შესაძლოა სამუდამოდ სამშობლოშიც კი დავტოვოთო. ამიტომაც თამარი მორჩილად ზის და უფროს კოლეგებს აკვირდება, ხარბად ისრუტავს რეჟისორის ყველა შენიშვნას, ხანდახან კი შიში იპყრობს – ვაითუ მაესტროს დაავიწყდა მისი არსებობა, აღარ ახსოვს, რომ თამარსაც დაავალა ეს როლი და აღარასდროს მოუწევს მისი თამაში?!

თამარ ჭავჭავაძე ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა – მსახიობმა, რომელიც ლაურენსიას როლს ამზადებდა, მოულოდნელად განაცხადა, რომ თბილისიდან მიემგზავრება. მარჯანიშვილი, არც მაშინ და არც შემდგომ, ასეთ უპასუხისმგებლობას არ ეგუებოდა, ამიტომ საშინლად გაბრაზდა და შეუთვალა, რომ მის გათავისუფლებას მხოლოდ პრემიერის შემდეგ თუ შეძლებს, მაგრამ მსახიობი თავისას არ იშლიდა. მაშინ რეჟისორმა გადაწყვიტა, ის ახალგაზრდა გოგონა გამოეცადა, ამასწინათ ლაურენსიას ტექსტის მომზადება რომ დაავალა. თამარი გულის ფანცქალით ავიდა სცენაზე, შიში და მღელვარება მოთოკა და როგორღაც გაიარა პირველი დიალოგი...

– კარგია! – გაბრწყინებული თვალებით შესძახა კოტე მარჯანიშვილმა, რეპეტიცია წუთით შეწყვიტა და თავისი მომხიბლავი, ოდნავ ირონიული ღიმილით გადახედა დამსწრეებს – გადაეცით იმ მსახიობს, რომ შეუძლია გაემგზავროს, სადაც უნდა! მე უკვე ვიპოვე ის, ვინც მჭირდებოდა!

იმ დღის შემდეგ, მარჯანიშვილმა რეპეტიციები გაორმაგებულ ტემპში გააგრძელა. ბოლშევიკებისგან ახლახან გასაბჭოებულ თბილისში გაჭირვება, შიმშილი და სიცივე მძვინვარებდა, მაგრამ მსახიობები ბედს მაინც არ უჩიოდნენ და თავგამოდებით მუშაობდნენ, რეჟისორთან ერთად დღეს და ღამეს ასწორებდნენ. თამარი ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო, თუმცა შიგადაშიგ ისევ ის ძველი შიში იპყრობდა – ვაითუ ვერ გავამართლო მისი ნდობა, ვერ შევასრულო ისე, როგორც იგი მთხოვს! ჯერ გამოუცდელი გახლდათ და ამიტომ გაათკეცებულ პასუხისმგებლობას გრძნობდა, რადგან იცოდა, რომ მთელი პიესა, ფაქტიურად, მის როლზე იყო დამყარებული. მისი მარცხი მთელი სპექტაკლის ჩავარდნას გამოიწვევდა და სათაყვანებელი რეჟისორიც იძულებული იქნებოდა საქართველოდან წასულიყო.

გენერალური რეპეტიციის შემდეგ, თბილისში ხმა გავრცელდა – რუსთაველის თეატრში არაჩვეულებრივი წარმოდგენა დაიდგაო. სალაროსთან იმწამსვე უზარმაზარი რიგები გაჩნდა.

– ხვალინდელი დღე ორ საკითხს გადაწყვეტს – გულწრფელად განუცხადა მარჯანიშვილმა არტისტებს – პირველი – რა ბედი ელის ქართულ თეატრს მომავალში და მეორე – ვიმუშავებ თუ არა ამის შემდეგ მე თქვენთან ერთად.

ხელმძღვანელებმა მსახიობებს თავიდანვე პირდაპირ გამოუცხადეს – დადგმას თუ ჩააფლავებთ, სახელოვანი რეჟისორი უკან, რუსეთში დაბრუნდება, მაგრამ თუ ყველაფერი წარმატებით ჩაივლის, შესაძლოა სამუდამოდ სამშობლოშიც კი დავტოვოთო.

1922 წლის 25 ნოემბერს რუსთაველის თეატრში ტევა აღარ იყო, თითქოს მთელ ქალაქს აქ მოეყარა თავი: პოეტებს, კომპოზიტორებს და ოპერის მომღერლებს, ექიმებს და მეცნიერებს, მოხუცებს და ახალგაზრდებს, მონაწილეთა ოჯახის წევრებს და მეგობრებს... უკლებლივ ყველას აინტერესებდა ასეთი რა დადგა კოტე მარჯანიშვილმა, რომ პრემიერამდე მთელი თბილისი აალაპარაკა.

დარბაზში თანდათან ჩამობნელდა, ხალხის ჩოჩქოლიც მიწყნარდა და ფარდა გაიხსნა... სუნთქვაშეკრული მაყურებელი გაფაციცებით ადევნებს თვალს ესპანეთის ერთ პატარა სოფელ

რუსთაველის თეატრი



ფუენტე ოვეხუნაში გამართულ დიდ ვნებათაღელვას – ფრონდოზოსა და ლაურენსიას ქორწილში უგულო კომანდორი შემოიჭრება და მისთვის მეფის მიერ მინიჭებულ, პირველი ღამის „კანონიერ“ უფლებას ითხოვს, მან ლაურენსიას თვალი უკვე დიდი ხანია დაადგა! პატარძლის დაცვას ვერავინ ბედავს და კომანდორს ის თავის სასახლეში მიჰყავს, მაგრამ ლაურენსია როგორღაც ახერხებს თავის დაღწევას და კომანდორს გამოექცევა.

– ცხვრები ხართ, ცხვრები! – უყვირის დაბეჩავებულ გლეხებს და სოფელს აჯანყებისკენ მოუწოდებს.

განრისხებული ხალხი შეიჭრება კომანდორის სასახლეში და ამტვრევს ყველაფერს, რათა ძირფესვიანად გაანადგუროს მტარვალი მმართველი.

რომანტიკული სიყვარულის ისტორია მხოლოდ რამდენიმე წელს გაგრძელდა და ქორწინების გარეშე დასრულდა – საუბედუროდ, უშანგი ჩხეიძე მალე მძიმედ დაავადდა.

ქალებს წინ თმაგაშლილი, განაწამები ლაურენსია მიუძღვის... შეპყრობილ კომანდორს შურისძიებით ანთებული ქალი პირველი ჩასცემს მახვილს:

– მტარვალნი უკვე აღარ არიან! – ლაურენსია-თამარი ამტვრევს მახვილს და გიჟურ როკვას იწყებს, მთელი სოფელი მასთან ერთად ცეკვავს...

შეშლილი მაყურებელი ტაშს უკრავს კაცისმკვლელ ქალიშვილს, რადგან იმ წუთში ყველა დარწმუნებულია, რომ ეს მკვლელობა სამართლიანია! მათ ისე განიცადეს სცენაზე ნანახი, რომ როდესაც ლაურენსიამ და ფრონდოზომ ხალხს მიმართეს კითხვით:

– ვინ მოკლა კომანდორი?

– ფუენტე ოვეხუნამ! – ერთხმად დაიგრგვინა დარბაზმა.

ამის შემდეგ რაღაც წარმოუდგენელი ხმაური ატყდა, სცენაზე რეჟისორს იხმობდნენ, მარჯანიშვილი სადღაც დაიმალა, მაგრამ მსახიობებმა მიაგნეს და ხელში ატაცებული გამოიყვანეს. დარბაზი ტაშისგან ლამის დაინგრა! ზედა იარუსიდან პაოლო იაშვილმა დასჭექა: „– დიდება თქვენ, მეგობრებო! ქართველი პოეტები თქვენ გვერდით არიან!“ იოსებ გრიშაშვილი პარტერში სკამზე შეხტა და მარჯანიშვილს ლექსი მიუძღვნა, ბოლოს შესძახა – ვაშა! ვაშა! – აიტაცა მთელმა სცენამ და მაყურებელთა დარბაზმა...

თამარი თითქოს სიზმარშია, ვიღაცები ეხვევიან, კოცნიან, ულოცავენ ნაცნობები და უცნობები, ჩუქნიან ყვავილებს... ბანკეტზე კოტე მარჯანიშვილი დაჰპირდა – თქვენ, ახალგაზრდებს, არასდროს გიღალატებთო. მათაც კუბოს კარამდე ერთგულება შეჰფიცეს მაესტროს... სადღეგრძელოში ვიღაცამ პირველად თქვა – ქართულ თეატრში ახალი ერა დადგაო... ახალი ერა თამარ ჭავჭავაძის ცხოვრებაშიც დაიწყო!

სალომეა, ლამარა, ბეატრიჩე ჩენჩი... როლს როლი მოსდევდა, წარმატებას – წარმატება... რამდენიმე წელიწადში რუსთაველის თეატრის დიდი სცენა ქუთაის-ბათუმის თეატრის სცენამ შეცვალა – თამარ ჭავჭავაძე საყვარელ რეჟისორს დაუფიქრებლად გაჰყვა, როდესაც მარჯანიშვილი ახალი თეატრის შესაქმნელად პროვინციაში გადავიდა. მალე კი ისევ დედაქალაქს დაუბრუნდნენ – „მეორე ქართული დრამის თეატრი“ შექმნეს. იმხანად, პოპულარობა ოფიციოზთან და მმართველ ორგანოებთან აუცილებელ ურთიერთობასაც გულისხმობდა, ამიტომაც თამარს ხშირად უხდებოდა ბევრ საინტერესო და უინტერესო შეხვედრაზე დასწრება, კომისიების წევრობა და ბანკეტების დროს მაღალჩინოსნებთან ერთად სუფრასთან ჯდომაც კი. ერთხელ, 1936 წელს მოსკოვში, ქართული კულტურის დღეებთან დაკავშირებულ ბანკეტზე, ნატო ვაჩნაძისა და თამარ ჭავჭავაძის შუაში თვით სტალინი ჩამჯდარა და სიამაყით განუცხადებია: „რას მოვესწარი, საწყალი გლეხის ბიჭი ორ თავად ქალს შორის არ ვზივარო?!“

„ცხვრის წყაროს“ არნახული წარმატების შემდეგ, თამარს უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. მამაკაცები თაიგულებსა და სასიყვარულო წერილებს არ აკლებდნენ, მაგრამ, ბევრის გასაკვირად, თამარი ყველას მიმართ გულგრილობას იჩენდა. თითქოს თეატრისა და თავისი როლების მეტი არაფერი აინტერესებდა. არადა, ახალგაზრდა მსახიობის გულში სიყვარულის ქარცეცხლი ტრიალებდა – თეატრში ყველამ კარგად იცოდა, რომ უშანგი ჩხეიძესა და თამარ ჭავჭავაძეს გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი, თუმცა ეს ამბავი სააშკარაოზე მაინც არ გამოჰქონდათ.

რომანტიკული სიყვარულის ისტორია მხოლოდ რამდენიმე წელს გაგრძელდა და ქორწინების გარეშე დასრულდა – საუბედუროდ, უშანგი ჩხეიძე მალე მძიმედ დაავადდა – სცენაზე თამაშზე უარი თქვა, სახლში ჩაიკეტა და გარკვეული დროის მანძილზე, მხოლოდ უახლოეს ადამიანებს თუ უშვებდა თავისთან... თამარს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ბედს შეჰგუებოდა, გაგებითა და თანაგრძნობით მოჰკიდებოდა საყვარელი ადამიანის უბედურებას. ასეც მოიქცა... მძიმე დღეები ისევ თავისმა საყვარელმა საქმემ გადაატანინა – კიდევ კარგი, თეატრში მაშინ ბევრი როლი ჰქონდა.

მერე კი, თამარის ცხოვრებაში ახალი სიყვარული გაჩნდა... პიერ კობახიძე თეატრში ჯერ კიდევ მარჯანიშვილის დროს მივიდა. თავდაპირველად თამარი მასზე რამდენიმე წლით უმცროს მსახიობს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მისი გული ხომ სხვა კაცს ეკუთვნოდა. სულ ახალგაზრდა პიერსაც უკვე ცოლის მოყვანა მოესწრო და პატარა შვილიც ჰყავდა. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა – პიერმა ისე შეაყვარა თამარს თავი, რომ შეყვარებულთათვის არც ასაკობრივ სხვაობას ჰქონდა მნიშვნელობა და არც პიერის პირველ ქორწინებას. მალე პიერ კობახიძისა და თამარ ჭავჭავაძის დიდი სიყვარულის ნაყოფი – პატარა ელენე (ლიკა) დაიბადა. დედის თხოვნითა და მამის თანხმობით, გოგონას დაბადების მოწმობაში გვარი ჭავჭავაძე ჩაუწერეს.

ოჯახური ცხოვრებაც ძალიან ხანმოკლე გამოდგა – თამარი და პიერი ლიკას დაბადებიდან მოკლე ხანში ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა ცხოვრების ბოლომდე დიდ მეგობრებად დარჩნენ. მათ იმდენად ახლო ურთიერთობა შეინარჩუნეს, რომ პატარა ლიკამ კარგა ხნის შემდეგ აღმოაჩინა, მშობლები რომ დაცილებულები ყოფილან. თუმცა ეს ამბავი განსაკუთრებით არ განუცდია, მამა ხომ ძალიან ხშირად სტუმრობდა მათ სახლს კარლ მარქსის მოედანზე, თავისთანაც ხშირად მიჰყავდა ქალიშვილი. შეკრებდა ხოლმე ოთხივე შვილს ერთად (თამარ ჭავჭავაძესთან დაცილების შემდეგ, პიერმა კიდევ ორი ცოლი მოიყვანა, რომლებთანაც თითო-თითო შვილი შეეძინა) თავის სახლში და ბავშვებს ნამდვილ დღესასწაულებს უწყობდა, მამა და შვილები ერთად ცეკვავდნენ, მღეროდნენ, მხიარულობდნენ. პიერს განსაკუთრებით ექსპრომტად ლექსის შეთხზვა ეხერხებოდა. ერთხელ თავის ვაჟს, დათო კობახიძეს, ასეთი სახუმარო ლექსიც კი უძღვნა:

„მე ვარ პაწა დათუნაო,
სულ ეზოში დავხტუნავო,
ბადრი ძმა მყავს, ლიკა დაო,
ვართ პიერის ბრიგადაო.
ცხოვრება რომ გაჭირდაო,
შეგვეძინა პაწა დაო,
იმას ქვია გულნარაო,
ტაში, მამა, ტრულალაო.“

ოჯახური ცხოვრებაც ძალიან ხანმოკლე გამოდგა – თამარი და პიერი ლიკას დაბადებიდან მოკლე ხანში ერთმანეთს დაშორდნენ.

ლიკას მოვლა და აღზრდა ბებიამ ითავა – თამარი ხომ მთელი დღე სახლში არ იყო – რეპეტიციები, სპექტაკლები, კონცერტები და რადიოჩაწერები უამრავ დროს მოითხოვდა. უკაცო ოჯახში ერთადერთი შემომტანი თამარი იყო, საკუთარ

თავადის ასულს გლეხის ქალის როლის შესრულება ხშირად უნევდა

– Я воспитываю маленькую дочь! – ამაყად განაცხადა თამარმა. – ისემც შენ რა გითხარი! – ველარ მოითმინა ბებია ელენემ.

პიერ კობახიძე

ოჯახსაც არჩენდა და დებსაც ეხმარებოდა. ერთ საღამოს, ბებია და შვილიშვილი რადიოთი თამარის ინტერვიუს უსმენდნენ. შემოქმედებაზე საუბარი რომ დაასრულა, მსახიობს ოჯახის შესახებაც დაუსვეს შეკითხვა.

– Я воспитываю маленькую дочь! – ამაყად განაცხადა თამარმა.

– ისემც შენ რა გითხარი! – ველარ მოითმინა ბებია ელენემ.

თუმცა თამარი მაინც ყველანაირად ცდილობდა შვილისთვის სითბო და ყურადღება არ მოეკლო, ხშირად დაჰყავდა რეპეტიციებზე, სპექტაკლებსა და გადაღებებზე. ერთხელ კი პატარა ლიკა უშანგი ჩხეიძესთანაც წაიყვანა – მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე ძლიერ ავადმყოფობდა და იშვიათად თუ შეუშვებდა ვინმეს თავისთან, თამარის ნახვით მაინც გაიხარა და სიამოვნებით მიიღო დედა-შვილი. დიდხანს და ყურადღებით აკვირდებოდა უშანგი ლიკას, ვინ იცის, რამდენი ფიქრი ტრიალებდა მის განაწამებ გონებაში იმ წუთებში.

– დედას ძალიან გავხარ!.. – უთხრა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ – ლექსი თუ იცი, წამიკითხე...

ლიკამ დაუფიქრებლად დაიწყო „ვეფხისა და მოყმის ბალადა“. უშანგიმ ბოლომდე ყურადღებით უსმინა, შეაქო, პაუზის შემდეგ კი ლოგინში წამოჯდა, ბალიშს მიეყრდნო და ჩუმი, ხავერდოვანი ხმით დაიწყო იმავე ლექსის კითხვა. მისი თვალები უეცრად ვარსკვლავებივით აენთო, თითქოს, წამით, ამ მძიმედ ავადმყოფ კაცში ისევ იმ სიცოცხლით სავსე ჭაბუკმა გაიღვიძა, თამარს ასე ძლიერ რომ უყვარდა...

ერთ დღეს, თამარს რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა დაურეკა:

– თუ შეგიძლია, ეგებ ხვალ კინოსტუდიაში შემოიაროო, შენთან საქმე მაქვს.

თამარმა, რასაკვირველია, იცოდა, რომ კინოსტუდიაში ახალი ფილმის, „ქეთო და კოტეს“ გადაღებისთვის ემზადებოდნენ, თუმცა არც უფიქრია, რომ მას ამ სურათში რაიმე როლს შესთავაზებდნენ. კინოში გადასაღებად ხშირად არ იწვევდნენ: სულ ორ ფილმში მიიღო მონაწილეობა – ერთხელ კოტე მარჯანიშვილმა გადაიღო „კომუნარის ჩიბუხში“, მანამდე კი თავადის ქალი ითამაშა „დინა ძაძუში“. თეატრში შესრულებული ამდენი დრამატული როლის გამო, თამარ ჭავჭავაძე ტრაგიკული როლების მსახიობად ითვლებოდა. ამიტომაც მეორე დღეს, თამარმა აუღელვებლად შეაღო ტაბლიაშვილის ოთახის კარი.

– თამარა, შენ ხანუმაზე ხარ დამტკიცებული! – ახარა რეჟისორმა.

– კი მაგრამ, მე მეგონა ლიზას აძლევდი მაგ როლს – უპასუხა გახარებულმა და ოდნავ დაბნეულმა მსახიობმა. საქმე ისაა, რომ წლების მანძილზე თეატრშიც ხანუმას როლს ძველი თაობის მსახიობი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი თამაშობდა, ამიტომ ყველას ეგონა, ფილმშიც მას გადაიღებდნენ.

– არა, მე ახლა სულ სხვანაირი ხანუმა მინდა. შენ ნუ გეშინია, ლიზას როლის გარეშე არ დავტოვებთ, ქეთოს ბებიას ითამაშებს. – დაამშვიდა ტაბლიაშვილმა და ბედნიერი არტისტი სცენარით ხელში გამოისტუმრა.

„ქეთო და კოტეს“ გადაღებები სულ სიცილსა და მხიარულებაში გაატარეს. გადამღები ჯგუფი განსაკუთრებით ხანუმასა და ქაბატოს სცენებზე ხალისობდა. საქმე ის იყო, რომ ცხოვრებაში ქაბატოს როლის შემსრულებელი მერი დავითაშვილი და თამარი ახლო მეგობრები იყვნენ, სცენარის მიხედვით, კი კონკურენტი მაჭანკლები, ამიტომ ხშირად კინკლაობის და ჩხუბის სცენებიც ჰქონდათ გადასაღები.

– მოტორ! – დაიძახებდა რეჟისორი და თამარ-ხანუმა და მერი-ქაბატო გაექანებოდნენ, აგლეჯდნენ ერთმანეთს ტანსაცმელს, აპუტავდნენ თმას და უმოწყალოდ ურტყამდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. გადამღები ჯგუფის წევრები კი სიცილით კვდებოდნენ.

– გადაღებულია! – გაისმოდა თუ არა ტაბლიაშვილის რეპლიკა, მეგობრები მივარდებოდნენ ერთმანეთს და „დაშავებულ ადგილებს“ უთვალიერებდნენ.

– მაპატიე, მგონი ველარ მოვზომე, მეტისმეტად მოგარტყი თვალში – გულწრფელად განიცდიდა მერის ჩალურჯებული თვალის შემყურე თამარი.

– არა, არა, პირიქით, მგონი მე უფრო მოგქაჩე თმა და წიხლიც გითავაზე, მაპატიე თამარა! – წუხდა მერი დავითაშვილი.

ფილმის ჰონორარით თამარმა მანქანა შეიძინა, რამაც ოჯახის წევრების საყოველთაო სიხარული გამოიწვია. თუმცა ეს სიხარული ფრიად ხანმოკლე აღმოჩნდა – ცხოვრებაში სრულიად არაპრაქტიკულმა თამარმა, ცხადია, ტარება არ იცოდა და მძღოლი დაიქირავა, რომელმაც ძალიან მალე ეს მანქანა სადღაც ქალაქგარეთ გაიტაცა და პატრონი დააჯერა, ვითომდა ისე დაამტვრია, მისი შეკეთება შეუძლებელიაო. მერე თვითონაც სადღაც მიიმალა, მისი გზა და კვალი ველარც იპოვეს, ავტომობილის მფლობელი თამარ ჭავჭავაძე კი დიდი ხნის მანძილზე იხდიდა მანქანის ჯარიმას. მიამიტი მსახიობის მოტყუებას არაფერი უნდოდა – ერთხელ ვინმე ლუჩიამ საკმაოდ დიდი თანხა გამოართვა და დაპირდა, ახლა რუსეთში მივდივარ და იქიდან კარგ ქურქს ჩამოგიტანო. რასაკვირველია, ფულის მიღების შემდეგ, ის ქალი თვალით არავის უნახავს, პიერ კობახიძე კი სულ ეხუმრებოდა თამარს – ეტყობა ლუჩიას ქურქი შენი მანქანით მოაქვსო...

ხშირად ჭავჭავაძეების ოჯახში ასეთი სატელეფონო დიალოგი იმართებოდა:

– დედა, რეპეტიცია დამთავრდა, საღამოს სპექტაკლია, ძალიან გვშია, მოვდივართ! – რეკავდა თამარი.

– აბა, ლიკა, მომეხმარე, ჩქარა! მოდიან ჩემი საყვარელი „მშიერი“ მსახიობები – დაფაცურდებოდნენ სტუმართმოყვარე ბებია და შვილიშვილი.

მარჯანიშვილის თეატრის „დამშეული“ არტისტები: სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, მერი დავითაშვილი, აკაკი

უშანგის თვალები უეცრად აენთო. წამით, ამ მძიმედ ავადმყოფ კაცში ისევ იმ ჭაბუკმა გაიღვიძა, თამარს ასე ძლიერ რომ უყვარდა...

კვანტალიანი, სანდრო ჟორჟოლიანი, გიორგი შავგულიძე და, რა თქმა უნდა, პიერ კობახიძეც სიამოვნებით შეექცეოდნენ ქალბატონი ელენეს მომზადებულ გემრიელ კერძებს. იმპროვიზე-

პეგან მაიკი, „გმირი“

ბული სადილი მხიარულ ნადიმში გადაიზრდებოდა და მთელი სახლი სიცილით და სიმღერით ივსებოდა...

თუმცა, იყო დღეები, როდესაც თამარს სულაც არ ჰქონდა მხიარული განწყობა. დროთა განმავლობაში, თეატრის შიგნით

რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შეიძლება ითქვას, მის მიერვე შექმნილი თეატრიდან გამოაგდეს...

ცხოვრება სულ უფრო და უფრო გართულდა, მარჯანიშვილის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი აირია, გახშირდა დაუსრულებელი კრებები, რომლებიც უმეტესად მხოლოდ ერთ მიზანს – მსახიობების მიერ ერთმანეთის კრიტიკას

„ვასა ჟელეზნოვა“

და ცილისწამებას ემსახურებოდა... თითქოს ყველას გადაავიწყდა ძველებური ერთსულოვნება და ახალგაზრდული თავდადება, დაივიწყეს ერთად გატარებული შემოქმედებითი აღმაფრენის, ხან კი უიღბლობის დღეები... ახლა კი, თითოეული როლი, ლამის ბრძოლითა და ინტრიგების ხლართვით უნდა მოგეპოვებინა, თამარს კი საამისო არც სურვილი გააჩნდა და არც უნარი. იგი მიხვდა, რომ ამ თეატრში აღარ დაედგომებოდა და 1942 წელს კვლავ რუსთაველის თეატრის სცენას დაუბრუნდა. პატარა ლიკამაც ამ თეატრის კულისებში გადაინაცვლა, ახლა უკვე იქიდან უყურებდა დედის სპექტაკლებს, თეატრის მტვერს ყლაპავდა და, თავისდაუნებურად, თვითონაც „იწამლებოდა“ ამ „განუკურნებელი სენით“... ამიტომაც თამარს სრულიად არ გაჰკვირვებია, როდესაც, სკოლის დამთავრების შემდეგ, ქალიშვილმა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება გადაწყვიტა. ხელის შეშლა არც უფიქრია, პირიქით, ყველანაირად ხელს უწყობდა სტუდენტობის დროსაც და შემდეგაც, როდესაც ლიკა უკვე რუსთაველის თეატრის მსახიობი გახდა. რამდენჯერმე დედა-შვილის არტისტული ტანდემი სცენაზეც შედგა.

დრო კი გადიოდა და თამარიც თანდათან გამოვიდა იმ ასაკიდან, როდესაც ახალგაზრდა გმირი ქალების როლებზე ანაწილებდნენ. თეატრში ნელ-ნელა ბევრი რამ იცვლებოდა, მოდიოდნენ ახალგაზრდა რეჟისორები, რომლებიც საკუთარ ესთეტიკას და შემოქმედებით პრინციპებს ამკვიდრებდნენ, ძველი თაობის მსახიობები და მათი თამაშის მანერა კი თანამედროვე გემოვნებაში უკვე ველარ ჯდებოდა.

თამარ ჭავჭავაძე რამდენიმე დღით კიევში იყო მიწვეული მარჯანიშვილის იუბილესთან დაკავშირებით, როდესაც რუსთაველის თეატრში რეორგანიზაცია ჩაატარეს. სამსახიობო ფოიეში გამოაკრეს განცხადება, სადაც თეატრიდან გათავისუფლებულ მსახიობთა გვარები ეწერა... თამარი ძალიან კმაყოფილი ჩამოვიდა კიევიდან:

– იცი, როგორ პატივს გვცემენ იქ! ლაურენსიას მონოლოგიც წამაკითხეს, სცენიდან აღარ მიშვებდნენ – ისე აღფრთოვანებით საუბრობდა, რომ ლიკამ დედას ახალი ამბის თქმა ვერც კი გაუბედა.

– დედა, დაისვენე, ნამგზავრი ხარ. მე ბავშვს გავასეირნებ და მალე დავბრუნდები შინ – ლიკამ ვერ წარმოიდგინა, თუ ბედნიერი თამარი იმწამსვე თეატრში გაქანდებოდა.

საყვარელ შენობაში შესულ თამარს რამდენიმე კოლეგამ თვალიც კი აარიდა შეხვედრისას, მიხვდნენ – ჯერ არაფერი იცოდა... მას კი ისე ეჩქარებოდა კიევის ამბების მოყოლა მეგობრებისთვის, რომ მაშინვე სამსახიობო ფოიეში შევარდა... ჩვეულებისამებ, განცხადებათა დაფას თვალი შეავლო, მის არყოფნაში ახალი ბრძანებაც გამოეკრათ – თეატრიდან გაშვებულ მსახიობთა გვარებს შორის თამარ ჭავჭავაძემ თავისი გვარიც ამოიკითხა...

– ბრძანება წავიკითხე... – მხოლოდ ეს უთხრა სახლში დაბრუნებულმა ქალიშვილს. მეტად ამ თემაზე არ ულაპარაკია, თუმცა ლიკა მიხვდა – დედის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე, უთეატრობის ხანა დადგა – რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შეიძლება ითქვას, მის მიერვე შექმნილი თეატრიდან გამოაგდეს...

უსამსახუროდ დარჩენილი თამარ ჭავჭავაძე პატიოსნად ცდილობდა როგორღაც პენსიონერი დიასახლისის როლი მოერგო, თუმცა მაინცდამაინც კარგად არ გამოსდიოდა... ერთხელ ლიკას სოხუმის თეატრის მაშინდელი სამხატვრო ხელმძღვანელი, ანზორ ქუთათელაძე შეხვდა და სამუშაოდ თავისთან მიიწვია:

– ახალგაზრდა მსახიობი ქალი მჭირდება, სულ მთავარი როლები გექნება, ლიკა, დაფიქრდი.

– არა, რუსთაველის თეატრიდან ვერ წამოვალ – გადაჭრით იუარა ლიკა ჭავჭავაძემ.

– ამ დღეებში შენთან სახლში მოვალ და კვლავ დავილაპარაკოთ, იმ პიესასაც მოგიტან, რის დადგმასაც ვაპირებ.

რამდენიმე დღეში, რეპეტიციიდან სახლში დაბრუნებულ ლიკას შინ უცნაური სცენა დახვდა – თამარი დიდ ჩანთაში თავის ტანსაცმელს ალაგებდა.

ნუ გეშინიათ, მალე დაგიბრუნდებით, ცოცხალი და ჯანმრთელი. – იქით ამშვიდებდა თამარი ახლობლებს – როცა ჩამოვალ, ყველას გეპატიჟებით სოხუმში, ჩემი მისის სევიჯის სანახავად.

– დედა, სად მიემგზავრები? – ჰკითხა გაოცებულმა ლიკამ.

– აქ ანზორი იყო, შენთან უნდოდა კიდევ ლაპარაკი – დამნაშავესავით უპასუხა თამარმა – მე ვუთხარი, რომ ახალგაზრდა ქალებს ვერ ვითამაშებ, მაგრამ დედების და ბებიების თამაში ხომ ჯერ კიდევ შემიძლია?! ანზორს გაუხარდა. მე თვითონ შევთავაზე, წამოვალ-მეთქი. შენ ხომ უარი უთხარი სოხუმში წასვლაზე, მე კი თეატრის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია... – თავს იმართლებდა დარცხვენილი სახალხო არტისტი.

ასე იშოვა თეატრიდან გათავისუფლებულმა თამარ ჭავჭავაძემ ახალი სამსახური, სოხუმის თეატრმა კი დედების და ბებიების როლების შემსრულებელი დიდოსტატი არტისტი.

1968 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს ჭავჭავაძეების ოჯახში ბევრ ხალხს მოეყარა თავი, ნათესავებიც იყვნენ, მეზობლებიც, მეგობრებიც, მსახიობებიც რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრიდან. ყველამ გაიგო, რომ თამარს ფილტვზე კეთილთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა და მეორე დღეს ოპერაციის გასაკეთებლად მოსკოვში უნდა გადაფრენილიყო.

– ნუ გეშინიათ, მალე დაგიბრუნდებით, ცოცხალი და ჯანმრთელი. – იქით ამშვიდებდა თამარი ახლობლებს – როცა ჩამოვალ, ყველას გეპატიჟებით სოხუმში, ჩემი მისის სევიჯის სანახავად. იცით, როგორ მიყვარს ეს როლი?! სულ სხვანაირი ვარ, ახალი ხერხით ვთამაშობ. თან სევდაც არის, თან იუმორიც, მაყურებელი ხან ტირის, ხან – იცინის...

ოპერაციამ კარგად ჩაიარა, თითქოს ყოველგვარმა საფრთხ-

ლიკა ჭავჭავაძე მეუღლესთან და შვილთან, გივი და არჩილ ბარათაშვილებთან ერთად

ოთარაანთ ქვრივი

ემ გადაიარა. წოლითი რეჟიმის გამო, თამარი ერთხანს საავადმყოფოში უნდა დარჩენილიყო. დამჯერი პაციენტი მოთმინებით ელოდა, როდის მისცემდნენ ადგომის უფლებას და სოხუმში დაბრუნებაზე ოცნებობდა – იქ ჩემი საყვარელი, უცნაური მისის სევიჯი მელოდებაო – ეუბნებოდა შვილს. საწოლზე ჩამომჯდარი ლიკაც, დედის გასამხიარულებლად, იხსენებდა სოხუმში გატარებულ დღეებს, როგორ გადიოდნენ სანაპიროზე ერთად, ზღვაში შორს შესცურავდნენ, ისე შორს, რომ ერთხელ დელფინების გუნდსაც კი შეხვდნენ... თამარს კი, რატომღაც, ბავშვობის მოგონებები მოეძალა, მოაგონდა ჭავჭავაძიანთ სახლ-კარი ყვარელში, დიდი კაკლის ხის შრიალი კუნაპეტ ღამეში და პაპა გიორგის მოყოლილი უჩვეულო ზღაპრები...

– დედა მინდა, ირა მინდა – უთხრა უეცრად მოწყენილმა შვილს.

– დეიდა მერიმ რაღა დაგიშავა, დედა? – ხუმრობით მიუგო ლიკამ.

– მერის ისედაც მალე ვნახავ. ჩავალ თბილისში და ვნახავ. იმათ კი...

ცუდად ენიშნა ლიკას გარდაცვლილთა ასეთი მონატრება, თუმცა არაფერი შეიმჩნია, ნაყინის მოსატანად გავალ და მალევე დავბრუნდებიო – დაუბარა დედას. უკან დაბრუნებულს კი პალატასთან ხალხმრავლობა დახვდა – მის არყოფნაში, პალატაში მორიგე ექიმი შესულა და პაციენტისთვის, ნაწოლები რომ არ გასჩენოდა, პატარა ვარჯიში ჩაუტარებია. გულმა ამ მცირე ფიზიკურ დატვირთვასაც კი ვერ გაუძლო, თამარს ინფარქტი დაემართა. წვეთოვანზე შეერთებული, მეტყველების უნარწართმეული თამარი, რამდენიმე დღე მხოლოდ თვალებითღა ელაპარაკებოდა შვილს... შემდეგ კი თვალებიც დახუჭა.

თამარ ჭავჭავაძის ცხედარი სამშობლოში გადმოასვენეს და დიდუბის პანთეონში მიწას მიაბარეს.

ანანო მირიანაშვილი

თამარს ბავშვობის მოგონებები მოეძალა, მოაგონდა ჭავჭავაძიანთ სახლ-კარი ყვარელში, დიდი კაკლის ხის შრიალი კუნაპეტ ღამეში და პაპა გიორგის მოყოლილი უჩვეულო ზღაპრები...